



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27213633

თარიღი:29/12/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №22

29 დეკემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის
დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო
წინადადებების მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებები თანდართული ფორმით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებები

№	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი)	ბენეფიციარი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ექსპერტიზა
1	კახეთი	თელავი	სოფ. ვარდისუბნის შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზები	360 000 რეგ. ფონდის დაფინანსება 95% მუნიციპალიტეტის დაფინანსება 5%	2 000	კი	კი
2	კახეთი	თელავი	სოფ. რუისპირის სათავე ნაგებობის მაგისტრალური წყალსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები	წყლები	450 000 რეგ. ფონდის დაფინანსება 95% მუნიციპალიტეტის დაფინანსება 5%	2 000	კი	კი
3	კახეთი	თელავი	ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის (ნაწილის) სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზები	558 889 რეგ. ფონდის დაფინანსება 95% მუნიციპალიტეტის დაფინანსება 5%	1 000	კი	კი